შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(1) **1.** მოსწავლემ დაწერა: *ეს იყო მსახიობის პირველი დებიუტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე.*

მიუთითეთ მოსწავლეს, რა ხარვეზი აქვს ამ წინადადებას.

(2) **2.** მოსწავლემ დაწერა: *განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვისაც ქვეყნის სვებედი აბარია.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *შეჯიბრებაში გაიმარჯვა ცხენმა, რომელიც ქარისავით სწრაფად დარბოდა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *მეცნიერები დღემდე კამათობენ იმაზე, მოსჩანს თუ არა კოსმოსიდან ჩინეთის დიდი კედელი.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *სტუმრებთან შესახვედრად მთელი სტუდენტობა უნივერსიტეტის ეზოში გამოფენილიყვნენ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *სანდრომ ოჯახის წევრებს გააცნო გოგონა, ვინც მისი საუკეთესო მეგობარი იყო.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **7.** მოსწავლემ დაწერა: *მისი დაბრუნება რასაკვირველია ყველას გაუხარდა.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(4) **8.** თქვენი მიზანია აუხსნათ მოსწავლეებს შერწყმული წინადადების რაობა.

(2) **I**. მოკლედ ჩამოაყალიბეთ შერწყმული წინადადების სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებული პუნქტუაციის წესები.

(7) **9.** წაიკითხეთ ნაწყვეტი არჩილ ჯორჯაძის წერილიდან:

„ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი. მას მეტად უყვარს საკუთარი თავი; პირადობა მისი ბატონია, საზოგადო საქმე ძალდატანებაა. იგი მალე ინთება, მაგრამ უმალვე ქრება. მისი ენთუზიაზმი უფრო ფიზიოლოგიურია, ვიდრე ფსიქიკური. იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, მაგრამ მის შრომას გაუტანლობის ნიშნები ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალისტია. ჯგუფურობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს სხვას იმას, რაც საჭიროა საერთო საქმის გაკეთებისათვის. და საერთო საქმე მას არ ეხერხება“.

(2) **I.** რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(2) **II.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(2) **III.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **10.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. შეაფასეთ ნამუშევარი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაწერეთ შესაბამისი ქულები. თქვენი შეფასება დაასაბუთეთ შემდეგნაირად: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყველა შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, პუნქტუაციურს, სინ-ტაქსურსა თუ სტილისტიკურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუ- თება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბა- მისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამი- სი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალი- თებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილის- ტიკური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

ტოლერანტობა ნიშნავს სხვა ადამიანების მრწამსის, ინტერესებისა და ღირებულებების პატივისცემასა და აღიარებას.

გაიაზრეთ ამ ტერმინის არსი და ისე შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:

ტოლერანტობა არ ნიშნავს უპრინციპობას. იგი გულისხმობს საზოგადოების წევრების მიერ ურთიერთდათმობების საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

ტოლერანტობა მსოფლიო მაშტაბით პოპულარული სიტყვაა და ყველამ კარგად იცის მისი მნიშვნელობა. ტოლერანტობა არ ნიშნავს უპრინციპობას. იგი გულისხმობს საზოგადოების მიერ ურთიერთდათმობების საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებას. მსოფლიოს მაშტაბით ყველა ქვეყნები მიისწრაფის ტოლერანტობისაკენ ისევე როგორც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები. სწორედაც, რომ ამ ერთ ტერმინშია მთელი ადამიანობის საკითხი, რომ ყველა ადამიანი თანასწორია მისი მრწამსის, ინტერესებისა და სხვა ნიშან თვისებების მიუხედავად. ტოლერანტობა გვასწავლის ერთმანეთის პატივისცემას.

დღეისდღეობით საქართველოში ტოლერანტობას ნაკლებად აღიარებენ. ბევრჯერ მინახავს თუ როგორ ჩაგრავენ სხვა სარწმუნოების ადამიანებს, რაც ძალიან ცუდია. ძნელია და ფაქტიურად შეუძლებელია, რომ ტოლერანტობას რამე უარყოფითი მხარე უპოვნო, რადგანაც ტოლერანტი ადამიანი სხვას არასოდეს არ დაჩაგრავს და არ დასცინებს.

მე ყველანაირად ვეთანხმები ტოლერანტობასთან დაკავშირებით ყველანაირ დეტალს რადგანაც სწორედ ეს გვასწავლის ერთმანეთის პატივისცემასა და ურთიერთგაგებას.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **11. იაკობ ხუცესის ტექსტის განხილვის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რატომ ენიჭება ასეთი მნიშვნელობა შუშანიკის სამკაულებს?*

რომელი მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

ა) ამ სამკაულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ ენიჭება, რომ ისინი პატრონის კეთილდღეობის მაჩვენებელია.

ბ) ამ სამკაულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ ენიჭება, რომ ისინი სადედოფლო რეგალიები და ოჯახური ერთიანობის სიმბოლოა.

გ) სამკაულებს საგანგებო დანიშნულება არა აქვს და ეს ეპიზოდები სიუჟეტური დრამატიზმის გასამძაფრებლადაა გამოყენებული.

დ) სამკაულებს საგანგებო დანიშნულება არა აქვს და ეს ეპიზოდები მხოლოდ ვარსქენის სულმოკლეობის საჩვენებლადაა გამოყენებული.

(1) **12. „აბო თბილელის წამების“ შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** *რატომ არაფერია ნათქვამი ტექსტში პერსონაჟის გარეგნობის შესახებ?*

რომელი მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

ა) მარტვილის მხატვრულ სახეში იმთავითვე იგულისხმებოდა პერსონაჟის როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური სრულყოფილება.

ბ) მარტვილის მხატვრულ სახეში ჰაგიოგრაფს ძირითადად გმირის სულიერი სრულყოფილება აინტერესებდა და არა მისი სხეული.

გ) მარტვილის წარმომავლობასა და გარეგნობაზე საგანგებო ხაზგასმა ჰაგიოგრაფთათვის დადგენილი წესებით აკრძალული იყო.

დ) ჰაგიოგრაფი ცდილობდა არ ესაუბრა მარტვილის დაძაბუნებულ სხეულზე, რათა მისი სულიერი სრულყოფილება არ დაეჩრდილა.

(1) **13. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სწავლების დროს რომელ ეპიზოდებს გამოიყენებთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ადამიანის ღვთაებრივი მშვენიერების დანახვა ჩვეულებრივ ყოფაშიც არის შესაძლებელი?**

ა) გრიგოლ ხანძთელის მისვლა ჯავახეთის კრებაზე და ანჩელი მოისრის მიერ გრიგოლ ხანძთელის ხილვა.

ბ) გრიგოლ ხანძთელის შეხვედრა გაბრიელ დაფანჩულთან და საბა იშხნელის ბაგრატ კურაპალატთან სტუმრობა.

გ) თეოდორესა და ქრისტეფორეს ხანძთიდან გაპარვა და გრიგოლ ხანძთელის შეხვედრა აფხაზთა მეფესთან.

დ) ცქირის დაღუპვის ცნობა ანგელოზისაგან და გრიგოლ ხანძთელის, ზენონისა და მაკარი ოპიზელის პურობა.

(1) **14. რა არის გადმოცემული დავით აღმაშენებლის ჰიმნოგრაფიულ თხზულებაში „გალობანი სინანულისანი“?**

ა) ავტორის ღრმა ფსიქოლოგიურ-რელიგიური განცდები.

ბ) ავტორის წუხილი, რომ ვერ შეძლო ქვეყნის გაერთიანება.

გ) ანდერძი, რომელიც მეფის გარდაცვალების შემდეგ უნდა შესრულდეს.

დ) მადლიერება უფლისადმი უშეცდომოდ განვლილი ცხოვრების გამო.

(1) **15. გიორგი მთაწმინდელის „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ მიხედვით, რა განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის თორნიკე ერისთავს?**

ა) ბერძნულ ენაზე თარგმნა შუა საუკუნეების რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისი“.

ბ) ბიზანტიის კეისრის ნაბოძები განძი ქართული მონასტრის მშენებლობას მოახმარა.

გ) ტაო-კლარჯეთში სამონასტრო ცხოვრების აღორძინებას შეუწყო ხელი.

დ) ქართულ ენაზე თარგმნა სახარება და სხვა უმნიშვნელოვანესი სასულიერო ტექსტები.

(1) **16. „ვეფხისტყაოსანში“ აღმოსავლური ელემენტები ყველაზე მკაფიოდ ჩანს:**

ა) პატრონყმური დამოკიდებულების ასახვაში.

ბ) პოემის პოეტიკაში.

გ) რაინდული ეთიკის დაცვაში.

დ) ქალის გამეფებაში.

(1) **17. ვინ და რატომ უწოდა დავით გურამიშვილის „დავითიანის“ პირველ წიგნს „ქართლის ჭირი“?**

ა) ალექსანდრე ბარამიძემ, რომელიც პოეტის შემდეგ სტრიქონებს დაეყრდნო: „ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა...“

ბ) ვახტანგ მეექვსემ, რადგან პოემაში ქართლ-კახეთში შექმნილი უმძიმესი ვითარება იყო აღწერილი.

გ) კორნელი კეკელიძემ, რომელიც პოეტის შემდეგ სტრიქონებს დაეყრდნო: „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...“

დ) მირიან ბატონიშვილმა, რომელსაც ამის გაკეთება თავად დავით გურამიშვილმა ანდერძით დაავალა.

(1) **18. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** *რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ავტორმა „სიბრძნე სიცრუისას“ შესაქმნელად იგავური ფორმა აირჩია?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

ა) ეს მწერლის არჩევანი არაა. სულხან-საბამ ამგვარად წერის ბრძანება ვახტანგ VI-ისაგან მიიღო და მის ნებას დაემორჩილა.

ბ) ეს მწერლის ტრაგიკულმა ცხოვრებამ განაპირობა, რადგან სიმართლის შეფარულად თქმა მისი ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო.

გ) ეს მწერლის შემოქმედებითი არჩევანია და ამ ჟანრის მიმზიდველობითა და დიდი მხატვრულ-გამომსახველობითი შესაძლებლობებითაა განპირობებული.

დ) ეს სულხან-საბას არჩევანი არაა, მისი ეპოქის მხატვრული ესთეტიკა ამ ფორმით წერას სავალდებულოდ მიიჩნევდა.

(1) **19. ქართულ რომანტიზმზე საუბრის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *ჰქონდათ თუ არა ქართველ რომანტიკოსებს ლიტერატურული გაერთიანება ან თეორიული პროგრამა?*

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება გამოვიყენოთ ამ კითხვის პასუხად?

ა) არსებობს მოსაზრება, რომ ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული გაერთიანების პროგრამა 1832 წლის შეთქმულების მასალებთან ერთად განადგურდა.

ბ) ქართველი სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, ქართველ რომანტიკოსებს თეორიულ საფუძვლებზე შექმნილი ლიტერატურული გაერთიანება და პროგრამა არ ჰქონიათ.

გ) ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული გაერთიანება არსებობდა. მისი პროგრამის შემქმნელი და სულისჩამდგმელი ალექსანდრე ჭავჭავაძე გახლდათ.

დ) ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული გაერთიანების პროგრამა ევროპელ რომანტიკოსთა პროგრამის ანალოგიით შეიქმნა. იგი გერმანული ენიდან 1802 წელს ითარგმნა.

(1) **20. გრიგოლ ორბელიანის ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ცნობილი პოეტი და სახელმოხვეჭილი გენერალი საკუთარ თავს „გულშემუსვრილს“, „დამცირებულსა“ და „ხმამიღებულს“ უწოდებს?*
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

ა) პოეტი დარწმუნდა, რომ „თერგდალეულებთან“ დაპირისპირებითა და პოლემიკით ეროვნული ძალების დასუსტებასა და დაქუცმაცებას შეუწყო ხელი.

ბ) პოეტი დარწმუნდა, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლა მისი მიუტევებელი შეცდომა აღმოჩნდა.

გ) რუსეთის ტახტის ერთგულების მიუხედავად, პოეტმა ვერ შეძლო მთავარმართებლის თანამდებობრივი მდგომარეობისათვის მიეღწია.

დ) ძლიერი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, რომელზედაც პოეტი ოცნებობდა, განუხორციელებელ იდეალად დარჩა.

(1) **21. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვისმა შეხედულებებმა იქონია არსებითი გავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე?**

ა) ბავშვობის მეგობრის, ლევან მელიქიშვილის.

ბ) ერეკლეს მსაჯულის, სოლომონ ლიონიძის.

გ) მისი მასწავლებლის, სოლომონ დოდაშვილის.

დ) დიდი პაპის, მეფე ერეკლე მეორის.

(1) **22. რეალიზმის რომელ პრინციპს დაუკავშირებთ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ სწავლებას?**

ა) მწერლობამ მხატვრულ ტექსტში ცხოვრება ნატურალისტურად უნდა ასახოს.

ბ) მწერლობისათვის პიროვნების ინდივიდუალიზმი უმთავრესი ღირებულება უნდა იყოს.

გ) მწერლობამ უპირატესად ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესები უნდა გამოხატოს.

დ) მწერლობამ უპირატესად საზოგადოების საჭირბოროტო საკითხები უნდა ასახოს.

(1) **23. აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ შესწავლის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *აქვს თუ არა მსგავსი მოტივაცია „განდეგილისა“ და „გამზრდელის“ მთავარი პერსონაჟების საზოგადოებისაგან განდგომას?*
რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

ა) განდეგილი საზოგადოებას გაურბის, რათა სულიერ სრულყოფილებას განმარტოებით მიაღწიოს, ხოლო ბათუ მთის მწვერვალზე ცხოვრებით თავისი ფიზიკური შესაძლებლობების გამოცდას ისახავს მიზნად.

ბ) „განდეგილისა“ და „გამზრდელის“ პერსონაჟების საზოგადოებისაგან მოწყვეტას მსგავსი მოტივი აქვს – ეს ცოდვილი სამყაროს გარდაქმნისა და ამქვეყნიური იდილიის შექმნის სურვილია.

გ) განდეგილის საზოგადოებისაგან გაქცევის მთავარი მოტივი ამქვეყნიური ცხოვრების, როგორც „ცოდვის სადგურის“, უარყოფაა, ხოლო ბათუს განმარტოება ამქვეყნიური იდილიის ძიებაა.

დ) განდეგილის საზოგადოებისაგან გაქცევის მთავარი მოტივი ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფაა, ხოლო ბათუს განმარტოება უღირსი ადამიანებისათვის თავის არიდების სურვილითაა განპირობებული.

(1) **24.** ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ შესახებ საუბრის დროს მოსწავლემ იკითხა: *რატომ ვერ შეძლო მინდიამ საკუთარი პრინციპებისთვის ბოლომდე ებრძოლა?*

რომელი მოსაზრება გამოგადგებათ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

ა) მინდია მიხვდა, რომ საკუთარი პრინციპებისათვის უკომპრომისო ბრძოლა მისი თემის თავისუფლებას საფრთხის წინაშე აყენებდა.

ბ) მინდიამ უკან დაიხია, რადგან ქაჯთაგან შეძენილი სიბრძნე შინაურ მტერთან დაპირისპირებისას გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

გ) ქაჯთა სიბრძნეს მინდია სრულიად გაუცნობიერებლად დაეუფლა და ამგვარი ტვირთის სატარებლად შინაგანად მზად არ აღმოჩნდა.

დ) ქაჯთა სიბრძნის გამოყენება მხოლოდ განსაზღვრული დროით იყო შესაძლებელი და ბოლომდე მის შენარჩუნებას სხვაც ვერავინ შეძლებდა.

(1) **25. ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ შესწავლისას რომელ ნაწარმოებებს გამოიყენებთ, რომლებშიც მამის მიერ შვილის მკვლელობის ამბავია გადმოცემული?**

ა) აკაკი წერეთლის „გამზრდელსა“ და უილიამ შექსპირის „ოტელოს“.

ბ) ნიკოლოზ გოგოლის „ტარას ბულბასა“ და სერვანტესის „დონ კიხოტს“.

გ) პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონესა“ და ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულს“.

დ) პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონესა“ და ნიკოლოზ გოგოლის „ტარას ბულბას“.

(1) **26. დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლის დროს მოსწავლემ აღნიშნა, რომ თანამედროვე მკითხველისთვის გაღატაკებულ აზნაურთა ყოფა საინტერესო აღარაა. რომელ მოსაზრებას გამოიყენებთ მწერლის თხზულებების აქტუალურობაში მოსწავლის დასარწმუნებლად?**

ა) დავით კლდიაშვილი არ არის მხოლოდ კონკრეტული ეპოქის მემატიანე. მისი პერსონაჟები ზოგადადამიანური და ეროვნული ხასიათებით გამოირჩევიან, ამდენად, ყველა დროის მკითხველისათვის საინტერესონი არიან.

ბ) დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილი ეპოქა ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია და იმ დროს შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლა ბევრ დოკუმენტურ მასალას აწვდის თანამედროვე მკითხველს.

გ) დავით კლდიაშვილი რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, ფუძემდებელია. ამდენად, მისი შემოქმედებითი პრინციპების გაცნობა თანამედროვე მკითხველს რეალისტური ხელოვნების არსის გარკვევაში ეხმარება.

დ) მიუხედავად იმისა, რომ დავით კლდიაშვილი თანამედროვეობისთვის უინტერესო თემებზე წერს, მისი პერსონაჟები იმდენად კომიკურნი არიან, რომ, შესაძლოა, დღევანდელი მკითხველისთვისაც საინტერესონი იყვნენ.

(1) **27. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, რომელმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ განაპირობა ნიკო ლორთქიფანიძის გამორჩეული ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბება?**

ა) იმპრესიონიზმმა.

ბ) რეალიზმმა.

გ) სიმბოლიზმმა.

დ) ფუტურიზმმა.

(1) **28. გაიხსენეთ, უმთავრესად რომელი ჟანრის ნაწარმოებებს ქმნიდა ვასილ ბარნოვი და რით გამოირჩეოდა მისი სამწერლობო ენა?**

ა) მწერალი უმთავრესად დოკუმენტურ პროზას ქმნიდა და მისი სამწერლობო ენა დიალექტიზმების სიუხვით გამოირჩეოდა.

ბ) მწერალი უმთავრესად ისტორიულ თხზულებებს ქმნიდა და მისი სამწერლობო ენა არქაიზმების სიუხვით გამოირჩეოდა.

გ) მწერალი უმთავრესად მოდერნისტულ მინიატურებს ქმნიდა და მისი სამწერლობო ენა ნეოლოგიზმების სიუხვით გამოირჩეოდა.

დ) მწერალი უმთავრესად სატირულ პიესებს ქმნიდა და მისი სამწერლობო ენა ბარბარიზმების სიუხვით გამოირჩეოდა.

(1) **29. პაოლო იაშვილის შემოქმედების განხილვის დროს მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** *რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი“?*

რომელ მოსაზრებას განავრცობთ მოსწავლის შეკითხვის პასუხად?

ა) მოღვაწეობის დასაწყისში ქართველი სიმბოლისტები კლასიკურ მემკვიდრეობას უარყოფდნენ და მხოლოდ მოდერნიზმის პრინციპებს აღიარებდნენ.

ბ) მოღვაწეობის დასაწყისში ქართველი სიმბოლისტები კლასიკურ მემკვიდრეობას უარყოფდნენ და მხოლოდ რომანტიზმის პრინციპებს აღიარებდნენ.

გ) მოღვაწეობის დასაწყისში ქართველი სიმბოლისტები მხოლოდ კლასიკურ მემკვიდრეობას აღიარებდნენ და ევროპულ ტრადიციებს უარყოფდნენ.

დ) მოღვაწეობის დასაწყისში ქართველი სიმბოლისტები მხოლოდ კლასიკურ მემკვიდრეობას აღიარებდნენ და თანამედროვე მიმდინარეობებს უარყოფდნენ.

(1) **30. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგის“ შესწავლის დროს რომელ ციტატას გამოიყენებდით იმის საილუსტრაციოდ, რომ იგი გარემომცველი სინამდვილის მხატვრულ-ესთეტიკურ აღქმას იწყებს.**

ა) „ახლა იგის სხეულში პატარა ბალახი გაჩნდა, რომლის ფოთოლზე ღამის თვალი მრგვალ წვეთს აბრჭყიალებდა“.

ბ) „იგის გაახსენდა, რომ წინა ღამეს ბელადი კარგი იყო, და არც ბალანი აჯაგვრია და არც შიში აწრიალებია სხეულში“.

გ) „იგი იჯდა, უკვირდა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ მაინცადამაინც ნი ჩნდებოდა მის სხეულში და არა სხვა ვინმე“.

დ) „უცებ იგიმ იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალებდა. ერთი კი შეკრთა ოდნავ... გატრუნულმა ყური მიუგდო“.

III. მხატვრული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობიდან „ელეონორა“:

ასლან გირეი წამოდგა, გაიჭიმა, გაიზმორა და ბრძოლის წადილით აცახცახებული მკლავები მიაწყვიტ-მოაწყვიტა. მისი ნაბიჯის გადადგმა ემსგავსებოდა ლომის სიამაყეს, თვალთა ელვარება – ვეფხის გაუმაძღრობას.

– დრო მოვიდა და ვნახავთ, ელეონორა ვის დარჩება! – წარმოსთქვა იმან და წავიდა თავის ჯარში.

გაიღო ციხე და გამოვიდა დარაზმული ხალხი, რომელთაც წინ მოუძღოდნენ თორმეტამდის შავარდენის მსგავსნი და თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებულნი ვაჟკაცნი. ზოგს მათგანს ახლად აშლოდა წვერ-ულვაში და სახეზედ სიცოცხლის იმედი უთამაშებდა, ზოგსაც გაბრწყინებულს თვალებში სიხარულის ცეცხლი უთრთოდა და მედგრად მოელოდა ბრძოლის რიგს. ესენი გახლდნენ ელეონორასთვის თავგანწირულნი, რომელთაც ფიცი დაედოთ ან ამ ქალის სიყვარული დაემსახურათ, ან მისი სურვილისთვის თავი გაეწირათ. გამოვიდა ლეკის ჯარიც. ორივე გუნდი ერთი მეორის პირდაპირ მოშორებით დადგა; ამ ხალხის შუაში მოედანი გაიმართა და მასზედ მალე გაიელვა ორის მოპირდაპირე მხრიდგან ორმა შავარდენმა, ორმა ლომებრივ მოყვანილმა ყმაწვილმა. იმათ შემოურბინეს მოედანს, შეუბღვირეს ერთმანერთს, თითქოს თვალით ზომავდნენ, გაექანნენ და ისევ უკან გახტნენ, თითქოს თვალთაგან გამომკრთალმა ცეცხლმა ორივე უკუ გადაჰყარაო. ბოლოს, დაუპირდაპირდნენ ერთმანერთს, მიუახლოვდნენ და ვეფხისავით სწრაფის ნახტომით ხანჯალ-შემაღლებულები შესდგნენ.

ელეონორას, რომელიც ციხის გალავნიდგან გადმოჰყურებდა, ტუჩები უღიმოდა, თვალები ანთებოდა და რაღაც აუხსნელის აღტაცებით მოელოდა საქმის გათავებას. ამ წუთებში ის ვეფხს ემსგავსებოდა, რომელიც სისხლის წყურვილის სიამოვნებას ცამდის მიეყვანა.

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

აგერ დაიძრა ხანჯლები, წამოვიდა, – ვინ იცის ვის სიცოცხლეს გააქრობს მახვილის წვერი! ლეკმა მარცხენა ხელი გააქანა, სწვდა ქართველს ხანჯლიანს ხელში და იმავ წუთს თავის ხანჯალი გულში ტარამდის ჩაუსვა... ქართველი დაბარბაცდა და ხრიალით დაეცა დედამიწაზედ... ქალმა თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა.

ვერ მოასწრო ქართველმა წაქცევა, როდესაც მისი ადგილი მეორემ დაიჭირა და ლეკს მედგრად შეუტია, მაგრამ გამოცდილმა ასლან გირეიმ მას პირველის ოდენი ხანიც კი არ დააცალა და მეორე ქართველიც ამხანაგს ზედ დააკლა.

ასე გაგრძელდა ომი იმ უკანასკნელ ქართველის სიკვდილამდის, რომელთაც ელეონორას შერთვის ფიცი დაედოთ... ლეკები გაზვიადდნენ, გაამაყდნენ. მათი წინამძღოლი უძლეველი შეიქნა; დღეს შემთხვევას მისთვის თორმეტი ქართველი დაემორჩილებინა.

ელეონორას მთლად ფერი დაჰკარგოდა და თუმცა ასლან გირეის სიმამაცე მას თანდათან იტაცებდა, იმორჩილებდა, მაგრამ სიამაყე ნებას არ აძლევდა გამარჯვება მისთვის დაეთმო. მაგრამ მის გვერდით გამოჩენილის გვარისა აღარავინ იყო და გამარჯვება ასლან გირეის რჩებოდა.

ქალმა მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია რამდენიმე კაცი და მათ შორის კრეჭიაშვილიც, რომელიც ხანჯალს ხელ-გავლებული კბილების კრაჭუნით გაჰყურებდა ლეკის გამარჯვებას.

– კრეჭიაშვილო! – უთხრა ელეონორამ, – ვინც ასლან გირეის თავს მომიტანს, მისი ცოლი შევიქნები.

კრეჭიაშვილმა შეხედა, გაჟრჟოლდა და გაფითრებული, ხმა ამოუღებლად გადახტა. გაგულისებული ლეკი იჯდა და მოწინააღმდეგეს ელოდა. როდესაც კრეჭიაშვილს შეხედა, წყნარად წამოდგა და ჰკითხა:

– შენ რაღა გინდა?

– მოძმეთა სისხლის აღება.

– თუ ელეონორას თავის დასაკუთრება? – დაცინვით შეხედა ლეკმა.

– ერთიცა და მეორეც, – სიბრაზით წარმოსთქვა კრეჭიაშვილმა.

– მოძმეთა სისხლის აღების სურვილი გეპატიება და ელეონორას კი არ დაგანებებ.

– ვნახავთ! – შესძახა ქართველმა და ეძგერა. პირველსავე მივარდნაში ორნივ მარცხენა ხელებით ერთმანერთს მარჯვენა ხელებში მისწვდნენ და ორთავ ხანჯლები ჰაერში გაკავებულები დარჩათ. კარგა ხანს იდგნენ ასე და ერთმანერთს აწვებოდნენ. ეტყობოდა, რომ ორი ღირსეული ძალა შეყრილიყო და ვერც ერთს ვერ დაეძლია. მეტის ძალდატანებისაგან ორთავ სახე დაჰპრანჭოდათ, ძარღვები მომდგარის სისხლისაგან ამობურცოდათ. ორთავეს თვალებში სიკვდილი და შეუბრალებლობა ეწერათ, ორთავენი პირიდგან სიბრაზის დორბლსა ჰყრიდნენ. კაცი გადაწყვეტით ვერ იტყოდა, ვინ გაიმარჯვებდა. მაყურებელთ სული გაენაბათ, მთლად ჭვრეტად გადაქცეულიყვნენ.

ერთბაშად მებრძოლნი შეიძრენ, წამოტრიალდნენ და კრეჭიაშვილის სარმით ძირს დაცემული ლეკი თავისივე ხანჯლით იქნა განგმირული.

ლეკების მხრივ სიბრაზისა და ქართველების მხრივ სიხარულის ყიჟინამ ჰაერი შეარყია.

ლეკებმა ვეღარ მოითმინეს, გაისვეს ხმლებს ხელი, მაგრამ წინ მიგებებულმა ქართველებმა მცირე ზარალის შემდეგ მალე გააბრუნებინეს პირი და ტყეში შეჰფანტეს.

გამარჯვებულმა ქართველებმა კრეჭიაშვილი სიმღერით და სიხარულით ციხეში შეიყვანეს. ყველა ეგებებოდა მას, გამარჯვებას ულოცავდა და ქებას ასხამდა, ყველა ისე გახარებული იყო, რომ წუთის სიამოვნებას დახოცილების გლოვაც კი გადაევიწყებინა.

მარტო კრეჭიაშვილს ჩაეკიდა თავი და დაღვრემილი პირი არ უღიმდებოდა. საკვირველი იყო მისი მდგომარეობა: ამ კაცს, რომელსაც ერთადერთი სანატრელი ელეონორასთან შეერთება გახდომოდა, რომელსაც დღეს მიეღწია თავის წადილისათვის, – უბრალო გახარებაც კი ვეღარ მოეხერხებინა. ციხის გალავანში შესვლასთან ერთად მას მოეგება ელეონო-

რა, გაბრწყინებული თავის მშვენიერებით და რაწამს კრეჭიაშვილს შეხვდა, ხელის აშვერით უთხრა:

– მე ღვთის წინაშე აღთქმა მქონდა, რომ ვინც ასლან გირეის მოჰკლავდა, ჩემი ქმარი შეიქმნებოდა... წამიყვანე.

კრეჭიაშვილმა შეხედა დაღონებით, მაგრამ მაშინვე დახარა თავი და გაჩუმებული დარჩა.

ყველა გაშტერდა ამის ნახვით. ელეონორა აინთო და არ იცოდა, რისთვის მიეწერა ამ კაცის საქციელი.

– კრეჭიაშვილო! – მკაცრად დაიწყო ისევ ქალმა, – ვერ გაიგონე ჩემი სიტყვები?

კაცმა მოიხადა ქუდი, ამოიხვნეშა, მოიწმინდა შუბლი და წელში გასწორებულმა შეხედა.

– გავიგონე, მაგრამ უარსავყოფ! – მტკიცედ წარმოსთქვა იმან.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე, ყველამ სული გაკმინდა და ამ ამბის გათავებას მოელოდა. ერთბაშად აიღო კრეჭიაშვილმა თავი, ამაყად გადახედა ხალხს და ჰაერი მსაჯულის უკანასკნელმა სიტყვამ შეარყია.

– ელეონორა! – დაიწყო კრეჭიაშვილმა, – ქალი, რომელიც ამდენს მოძმეს გასწირავს თავმოყვარეებისათვის, ქართველის ცოლობის ღირსი არ არის!.. მე უბედური ვარ, რომ მიყვარხარ, ვიცი, რომ ჩემის გადაწყვეტილებით სიცოცხლეს მოვიწამლავ, მაგრამ შენი ქმარი კი არ შევიქნები.

ამ სიტყვების შემდეგ ის წყნარად გაბრუნდა; ხალხი გაიპო შუაზედ და გზა მისცა.

ელეონორა გაექანა და კრეჭიაშვილს ფეხებ-ქვეშ ჩაუვარდა.

– იქით!.. არ მომეკარო! – შეშინებით წამოიძახა იმან და მტკიცე ნაბიჯით წავიდა კარებისკენ. მერე ერთბაშად შესდგა, გამობრუნდა, მოხედა ელეონორას და წარმოუთქმელის გრძნობით დაიძახა: – საზიზღარი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ და უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიან!..

ამ სიტყვებთან ერთად ჰაერში გაელვებულმა ხანჯალმა ორად გააპო კრეჭიაშვილის გული.

შეკითხვებზე გადასვლა 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ინსტრუქცია:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.

მოცემული პასუხებიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X.

(1) **31.** რა ფუნქცია აკისრია პირველ აბზაცს?

ა) წარმოაჩინოს პერსონაჟის სოციალური მდგომარეობა.

ბ) წარმოაჩინოს პერსონაჟის მებრძოლი სული.

გ) წარმოაჩინოს პერსონაჟის მერყევი ხასიათი.

დ) წარმოაჩინოს პერსონაჟის უსამართლო ბუნება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **32.** პერსონაჟის როგორ სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებს ასლან გირეის ფრაზა: *„დრო მოვიდა და ვნახავთ, ელეონორა ვის დარჩება!“*

ა) აშინებს მოწინააღმდეგეთა სიძლიერე.

ბ) დაეჭვებულია გამარჯვებაში.

გ) დარწმუნებულია გამარჯვებაში.

დ) შეშფოთებულია მოწინააღმდეგეთა სიმრავლით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **33.** **რომელი ფრაზა გამოხატავს ვითარების განსაკუთრებულ სიმძაფრეს?**

ა) „გაიღო ციხე და გამოვიდა დარაზმული ხალხი“.

ბ) „ზოგს მათგანს... სახეზედ სიცოცხლის იმედი უთამაშებდა“.

გ) „თითქოს თვალთაგან გამომკრთალმა ცეცხლმა ორივე უკუ გადაჰყარაო“.

დ) „შემოურბინეს მოედანს, შეუბღვირეს ერთმანერთს, თითქოს თვალით ზომავდნენ“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **34.** პერსონაჟების რომელ კონკრეტულ თვისებაზე მიუთითებს ფრაზა: *„მალე გაიელვა ორის მოპირდაპირე მხრიდგან ორმა შავარდენმა“?*

ა) მოწინააღმდეგეთა გამოცდილებაზე.

ბ) მოწინააღმდგეთა გამძლეობაზე.

გ) მოწინააღმდეგეთა გამჭრიახობაზე.

დ) მოწინააღმდეგეთა სისწრაფეზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **35.** ელეონორას რომელ თვისებას წარმოაჩენს სიტყვები: *„თვალები ანთებოდა და რაღაც აუხსნელის აღტაცებით მოელოდა საქმის გათავებას“?*

ა) მოუთმენლობას.

ბ) სიმტკიცეს.

გ) უნებისყოფობას.

დ) შორსმჭვრეტელობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **36.** **რატომ არ მონაწილეობდა თავიდანვე კრეჭიაშვილი ორთაბრძოლებში?**

ა) გამარჯვების იმედი არ ჰქონდა.

ბ) განსაკუთრებული სიმამაცით არ გამოირჩეოდა.

გ) უმაღლეს წოდებას არ ეკუთვნოდა.

დ) შესაფერისი აღკაზმულობა არ გააჩნდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **37.** **რამ განაპირობა ელეონორას არჩევანი – ცოლობა კრეჭიაშვილისთვის შეეთავაზებინა?**

ა) ასლან გირეისადმი დაუძლეველმა ზიზღმა.

ბ) ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის პატივისცემამ.

გ) გამოუვალმა მდგომარეობამ.

დ) კრეჭიაშვილის მომხიბვლელობამ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **38.** **რატომ *„გაჟრჟოლდა“* კრეჭიაშვილი ელეონორას ნათქვამზე, ასლან გირეის დამმარცხებელზე გავთხოვდებიო?**

ა) თავი ელეონორას ქმრობის ღირსად არ მიაჩნდა.

ბ) მოწინააღმდეგის სიმამაცემ გამარჯვების იმედი დააკარგვინა.

გ) საოცნებო ქალის ცოლად შერთვის შანსი გაუჩნდა.

დ) საყვარელი ქალის წინაშე დამარცხებისა შეეშინდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **39.** **რატომ შეხედა ლეკმა კრეჭიაშვილს** *„დაცინვით“*?

ა) მისი აღკაზმულობა სასაცილოდ მოეჩვენა.

ბ) მისი ბრძოლისუნარიანობა არ ირწმუნა.

გ) მისი გარეგნობა თვალში არ მოუვიდა.

დ) მისი გულწრფელობა არ დაიჯერა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) **40.** **რატომ თქვა კრეჭიაშვილმა უარი ელეონორას ცოლად შერთვაზე?**

ა) დამარცხებული მოწინააღმდეგის ვაჟკაცობას პატივი სცა.

ბ) თავისი გამარჯვების სამართლიანობაში ეჭვი შეეპარა.

გ) სისხლით მოპოვებული ბედნიერება არ ისურვა.

დ) უღირსებო ქალის ქმრობა არ ისურვა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(5) **41.** იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: პასუხი, რომელიც 50 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!